ავტორი:

ლევან ახვლედიანი

ზოროასტრიზმი

წარმოგიდგენთ რესურსების ციკლს, რომელიც მსოფლიო რელიგიების მიმოხილვას ეხება. ყველასათვის ნათელია თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს რელიგია საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ეპოქასა თუ რეგიონში მოქმედი რელიგიების განხილვა. მით უმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ თემების შესწავლას ძალიან მცირე ადგილი ეთმობა და ძირითადად განხილულია (მცირე დოზით) ე.წ. აბრაამისტული რელიგიები, კერძოდ, ქრისტიანობა და ისლამი. ჩვენ მიერ წარმოდგენილია რამდენიმე რელიგია. განვიხილავთ, მაზდეანობას, კონფუციანობას, დაოსიზმს, ინდუიზმს, სინტოიზმს და სხვა. ეს რელიგიები წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე. თითოეულ მათგანს ახლავს შეკითხვები, რომლებზე პასუხის გაცემაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გაუადვილებს ამ რელიგიების შესწავლას.

ზარატუშტრა

ზოროასტრიზმი გამოცხადების (სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი იმ რელიგიებს აღნიშნავს, რომლებიც მოციქულებმა ღმერთის ზეშთაგონებით მიიღეს) რელიგიებს შორის უძველესია.

მან, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დიდი გავლენა იქონია კაცობრიობის ისტორიაზე. ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგია იყო სამი დიდი ირანული იმპერიისა, რომლებიც ძვ.წ. VI-დან - ახ.წ. VII საუკუნემდე თითქმის უწყვეტად არსებობდნენ. ირანული იმპერიების სიძლიერე განაპირობებდა ამ რელიგიის დიდ პრესტიჟსა და გავლენას მთელი მახლობელი აღმოსავლეთის კულტურაზე და, განსაკუთრებით, რეგიონში წარმოქმნილ რელიგიებზე - იუდაიზმზე, ქრისტიანობასა და ისლამზე, ასევე, გნოსტიკურ სექტებსა და ბუდიზმზე.

ეს რელიგია მეტად უნიკალურია. მისი მრავალი დებულება კეთილშობილური და მაღალი მორალური ღირებულებების მატარებელია. ამიტომაც, როგორც ზემოთ ვთქვით, არაა გასაკვირი, თუ გვიანდელმა რელიგიებმა ბევრი რამ ისესხა ზოროასტრიზმისგან. მაგალითად, მონოთეისტური სისტემა, რწმენა მოციქულთა არსებობისა და მესიის (მხსნელის) მოსვლისა. არ არის გამორიცხული, რომ სწავლება საიქიო სამყაროს - სამოთხისა და ჯოჯოხეთის და საშინელი სამსჯავროს - შესახებ მსოფლიო რელიგიებში სწორედ ზოროასტიზმიდან იყოს ნასესხები.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის ზუსტად ცნობილი თუ სად და როდის წარმოიშვა ეს რელიგია. მეცნიერები განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ. ნაწილის აზრით, ხალხი, რომლის წიაღშიც ჩაისახა ზოროასტრიზმი, ირანის ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო სხვათა აზრით, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდა. ინგლისელი მეცნიერის, მერი ბოისის, ჰიპოთეზით ამ რელიგიის სამშობლო მდ. ვოლგის აღმოსავლეთით, დღევანდელ სამხრეთ რუსეთის სტეპებში უნდა ვეძებოთ. ეს თეორიები, ძირითადად, ზოროასტრიზმის წმინდა წიგნებში დაცული ენათმეცნიერული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მათი ჭეშმარიტება ეჭვს ბადებდეს.

ზოროასტრიზმის წმინდა წიგნების ლინგვისტური ანალიზი და მათი შინაარსი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, რომ ამ რელიგიის შემქმნელი ხალხი განეკუთვნებოდა უძველეს

ინდოევროპულ მომთაბარე ტომებს, რომლებსაც დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს უნდა ეცხოვრათ. ეს დრო მეტად არასტაბილური იყო, რაზეც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი იარაღი და საომარი ეტლები მიუთითებს. მწყემსებს ხშირად უწევდათ მეომრებად გახდომა. მათი ბელადები ხელმძღვანელობდნენ საომარ კამპანიებს და ძარცვავდნენ მოწინააღმდეგე ტომებს.

სწორედ ამ რთულ ვითარებაში ასპარეზზე გამოდის მოციქული ზარატუშტრა, ძე პოურუშასპისა, სპიტამას გვარიდან (ამ სახელის ბერძნული ვარიანტია ზოროასტრი), რომლის სახელის საფუძველზეც ეწოდა ამ რელიგიას - ზოროასტრიზმი. მისი სახელი ძველი ირანული წარმოშობისაა და „ოქროსფერი აქლემის მფლობელს“ ნიშნავს. ავესტას მიხედვით, ზარატუშტრა პროფესიონალი ქურუმი იყო, ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ავესტა

ზოროასტრელთა წმინდა წიგნებს ავესტა ეწოდება. მათში გადმოცემულია სპიტამა ზარატუშტრას გამოცხადებები - სწავლება, რომელიც მოციქულმა ხალხს აჰურა მაზდასგან (ზოროასტრიზმის უზენაესი ღვთაება) გადასცა.

როგორც ლეგენდა გვამცნობს, ავესტა ამქვეყნად ღვთაებრივმა ფრინველმა კარშიპტმა ციხე-ქალაქ იიმკარდში ჩამოიტანა, რომელიც მეფე იიმამ ააგო და, რომელიც სიცივისა და წყალდიდობებისგან ადამიანების დასაცავად იყო განკუთვნილი; თუმცა, მეფემ უარი თქვა აჰურა მაზდას წინადადებაზე „კეთილი რწმენის“ მქადაგებელი გამხდარიყო. პირველი და ერთადერთი მოციქული „კეთილი რწმენისა“ გახდა ყველაზე მართალი ადამიანთა შორის - სპიტამა ზარატუშტრა. მოციქულის მიერ გამოცხადების მიღებიდან იწყება მიწიერი სამყაროსთვის ახალი ეპოქა - ვიზარიშნი - ეპოქა სიკეთისა და ბოროტების გაყოფისა.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ავესტა ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ამ სიბრძნის მატარებელნი მისი ქურუმები - მოგვები იყვნენ. მოგვიანებით, პართელთა სამეფოში, არშაკელთა დინასტიის დროს (ძვ.წ. 250 წ. - ახ.წ. 224 წ.) წმინდა წიგნების წერილობითი ვერსია შეიქმნა, ხოლო მათი საბოლოო რედაქცია უკვე სასანელი შაჰის - შაბურ II-ის (ახ.წ. VIს.) ეპოქაში ფიქსირდება.

გადმოცემით, ე.წ. დიდი ავესტა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელამდე არსებულა, შეიცავდა 21 წიგნს - ე.წ. ნასკს. დღეისათვის შემორჩენილია ავესტას შემდეგი ნაწილები:

- იასნა - (ავესტ. ლოცვა, თაყვანისცემა) ძირითადი ლიტურგიკული ნაწილი. მასში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება გათებს - საგალობლებს, რომლებიც თვით ზარატუშტრას მიეწერება.
- ვისპრედი - (ავესტ. ყველა მსაჯული, ყველა უფალი) შეიცავს სხვადასხვა ღვთაებისადმი მიძღვნილ ლოცვებს.
- ვიდევდატი - (ავესტ. დევთა საწინააღმდეგო კანონი) რომელშიც გადმოცემულია აჰურა მაზდას მიერ ქვეყნის შექმნისა და ოქროს ხანის მითები. მასში, ასევე, აღწერილია ზოროასტრელთათვის სავალდებულო ქცევის ნორმები.
- იაშტა - (ავესტ. ქება) შინაარსობრივად ავესტას უძველესი ნაწილია, შედგება ბუნების ძალებისა და ციური სხეულებისადმი მიძღვნილი ჰიმნებისგან. მასში შემონახულია ძველი ინდოევროპული მითოლოგიური პერსონაჟები და ღვთაებები (მითრა, ანაჰიტა და სხვა).
- ხორდა ავესტა - (საშუალო სპარსულად - მცირე ავესტა) მოიცავს იმ ლოცვებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია საერო ზოროასტრელებისთვის და, რომელთაც იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საყურადღებოა, რომ ავესტა ერთ-ერთ უძველეს ირანულ დიალექტზეა დაწერილი და ის მხოლოდ ამ წმინდა წიგნებშია დაფიქსირებული. ამიტომაც, ზოროასტრი ქურუმობის მსურველნი ხანგრძლივ და სპეციალურ განათლებას იღებდნენ მომავალი საქმიანობისთვის.

ზოროასტრული ღვთაებები

ზოროასტრიზმის სიმბოლო – ფარავაჰარი – ღვთებრივი დიდება

გადმოცემის მიხედვით, ზარატუშტრამ „ჭეშმარიტი რწმენის“ გამოცხადება 30 წლის ასაკში მიიღო. ერთხელ, გამთენიისას ის მდინარისკენ გაემართა წმინდა სასმელის - ჰაომას მოსამზადებლად. დაბრუნებისას ზარატუშტრას გამოეცხადა ბრწყინვალე არსება - ვოჰუ მანა (ავესტ. კეთილი აზრი), რომელმაც ის ღმერთთან - აჰურა მაზდასთან (წესრიგის, სიმართლისა და სამართლიანობის ღმერთი) მიიყვანა. გამოცხადება შემთხვევითი როდი იყო. მისი სათავეები ზოროასტრიზმზე უფრო ადრეულ რელიგიაში უნდა ვეძებოთ. ახალი მოძღვრების ქადაგებამდე ბევრად უფრო ადრე, ძველი ირანული ტომები თაყვანს სცემდნენ ღვთაება მითრას - ხელშეკრულების (პირობის დადების) განსახიერებას, ანაჰიტას - წყლისა და ნაყოფიერების ქალღმერთს, ვარუნას - ომისა და გამარჯვების ღმერთს და სხვა. ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა რელიგიური წეს-ჩვეულებები, რომლებიც ცეცხლის თაყვანისცემასა და ქურუმების მიერ რელიგიური ცერემონიებისთვის ჰაომას მომზადებას გულისხმობდა. მრავალი წეს-ჩვეულება, რიტუალი თუ მითოლოგიური გმირი „ინდოარიელთა ერთობის“ ეპოქას განეკუთვნებოდა. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ღვთაება თუ გმირი ორგანულად შეერწყა ახალ რელიგიას - ზოროასტრიზმს.

ზარატუშტრა ქადაგებდა, რომ უზენაეს ღვთაებად გვევლინება *<u>აჰურა მაზდა.</u>* ყველა სხვა ღვთაება იერარქიულ კიბეზე მის ქვემოთ დგას და მას ემორჩილება. მეცნიერთა აზრით, აჰურა მაზდას სახე მომდინარეობს ძველი ირანული ტომების ღვთაებებისგან, რომლებსაც აჰურად (ავესტ. ბატონი, მბრძანებელი) მოიხსენიებდნენ. აჰურად იწოდებოდნენ მითრა და ვარუნაც, ხოლო უზენაესი აჰურას ეპითეტი მაზდა (ავესტ. ბრძენი) იყო.

გარდა აჰურა-ღვთაებებისა, რომლებიც დაჯილდოებულნი იყვნენ უზენაესი საკრალური თვისებებით, ძველი ირანელი ტომები, ასევე, თაყვანს სცემდნენ დევებს (დაივებს) - დაბალი რანგის ღვთაებებს, თუმცა უმრავლესობა ამ ტომებისა მათ ბოროტი და ბნელი ძალების წარმომადგენლებად თვლიდა.

აჰურა-მაზდა განასახიერებდა უმაღლეს და ყოვლისმცოდნე ღმერთს, ყოველივე არსებულის შემოქმედს, ღვთაებას ცის თაღისა. ის დაკავშირებული იყო ძირითად რელიგიურ ცნებებთან - ღვთაებრივ სამართლიანობასა და წესრიგთან (ავესტ. აშა), კეთილ სიტყვასა და კეთილ ქმედებებთან.

მოგვიანებით ხმარებაში შემოვიდა ზოროასტრიზმის სხვა სახელწოდება - *მაზდეიზმი.*

ზარატუშტრა ქადაგებდა, რომ ყოველი ღვთაება აჰურა მაზდასგანაა ნაშობი. ეს ქადაგება იმ მომენტიდან დაიწყო, როდესაც მდინარის ნაპირას ბრწყინვალე ზმანება ჰქონდა. ამ ზმანებამ მოციქულს აჰურა მაზდასა და სხვა ღვთაებების ხილვის საშუალება მისცა.

მაზდეანობის მიხედვით, სამყაროში მეფობენ არა მარტო სიკეთე და სინათლე, არამედ ბოროტება და სიბნელეც. აჰურა მაზდას უპირისპირდება ბოროტი ღვთაება - ანჰრა მაინიუ (აჰრიმანი ან არიმანი). მუდმივი დაპირისპირება აჰურა მაზდასა და აჰრიმანს შორის განასახიერებს ბრძოლას კეთილსა და ბოროტს შორის. ამრიგად, მაზდეანობისთვის დამახასიათებელია ორი საწყისის არსებობა: „ჭეშმარიტად არსებობს ორი პირველადი სული, განთქმულნი ურთიერთდაპირისპირებით. .... აზრით, სიტყვითა და ქმედებით - თითოეული მათგანი კეთილი და ბოროტია. .... როდესაც ეს ორი სული პირველად შეება ერთურთს, მაშინ შეიქმნა ყოფიერება და არმყოფობა და ვინც მისდევს სიცრუის გზას, მას ელის ყველაზე ცუდი, ხოლო ვისი გზაც სიკეთეა, მისი ხვედრი საუკეთესოა“.

აჰრიმანის მხედრობას წარმოადგენენ დევები. ზოროასტრელებს სწამთ, რომ ეს ბოროტი სულები და მბრძანებლები ზიანს აყენებენ ბუნების ოთხ წმინდა სტიქიას: ცეცხლს, მიწას, წყალსა და ცის თაღს. ამასთანავე, მათში გამოხატულია ყველაზე ცუდი ადამიანური თვისებები: შური, სიზარმაცე, სიცრუე და სხვა.

უზენაესმა ღმერთმა აჰურა მაზდამ შექმნა: სიცოცხლე, სითბო და სინათლე, რის საპასუხოდაც აჰრიმანმა შექმნა: სიკვდილი, ზამთარი, სიცივე, ყინვა, მავნე ცხოველები და მწერები. მაგრამ საბოლოოდ, ზოროასტრული სწავლების მიხედვით, ორი საწყისის ამ ბრძოლაში აჰურა მაზდა გაიმარჯვებს და სამუდამოდ გაანადგურებს ბოროტებას.

ზოროასტრიზმის მიხედვით, აჰურა მაზდამ სპენტა მაინიუს (წმინდა სული) დახმარებით შექმნა ექვსი „უკვდავი წმინდანი“, რომლებიც უზენაეს ღმერთთან ერთად ქმნიან შვიდი ღვთაების პანთეონს. სწორედ ეს იდეა შვიდი ღმერთის შესახებ წარმოადგენდა ზოროასტრიზმის ერთ-ერთ სიახლეს. ეს ექვსი „უკვდავი წმინდანი“ განასახიერებს აბსტრაქტულ ყოფიერებას. მაგალითად:

ვოჰუ მანა - წარმოადგენდა საქონლის მფარველს და, ამავე დროს, კეთილ აზრს;

აშა ვაჰიშტა - წარმოადგენდა ცეცხლის მფარველს და საუკეთესო სიმართლეს;

ჰშატრა ვარია - წარმოადგენდა ლითონთა მფარველს და რჩეულ ხელისუფლებას;

სპენტა არმატი - წარმოადგენდა მიწის მფარველს და ღვთისმოსაობას;

ჰაურვატატი - წარმოადგენდა წყლის მფარველს და მთლიანობას;

ამერტატი - წარმოადგენდა მცენარეთა მფარველს და უკვდავებას.

მათ გარდა, აჰურა მაზდას ღვთაება-თანამგზავრებად ითვლებოდნენ მითრა, აპამ ნაპატი - წყალთა შვილიშვილი, სრაოში - მორჩილება, ყურადღება და დისციპლინა და, ასევე, აში - ბედისწერის ქალღმერთი. ზოროასტრიზმის მიხედვით, თითოეული მათგანი აჰურა მაზდას ნაშობნი არიან და მისი მეთაურობით ცდილობენ ბოროტი ძალების დამარცხებას.

კოსმოგონია

ზოროასტრული კონცეფციის მიხედვით, სამყარო იარსებებს 12 ათასი წელი. მთელი მისი ისტორია პირობითად დაყოფილია ოთხ პერიოდად, თითოეულის ხანგრძლივობა 3 ათასი წელიწადია:

პირველი პერიოდი იყო წინმსწრები მატერიალურ სამყაროში არსებული ყველა იდეისა და საგნისა, როდესაც აჰურა მაზდა ქმნიდა აბსტრაქტული ცნებების იდეალურ სამყაროს. ამ

სტადიაზე უკვე არსებობდა იმ ყოველივეს პირველსახე, რამაც მოგვიანებით მატერიალური სახე მიიღო. კოსმოსის ასეთ მდგომარეობას მენოკი (ავესტ. უხილავი, სულიერი) ეწოდება.

მეორე პერიოდში ხორცს ისხამს მატერიალური, რეალური, ხილული სამყარო. აჰურა მაზდა ქმნის ცას, ვარსკვლავებს, მთვარეს და მზეს. მზის სფეროს მიღმა თვით უზენაესი ღმერთის სამყოფელია.

იმავდროულად, მოქმედებას იწყებს აჰრიმანი. ის იჭრება ცის თაღის ფარგლებში, ქმნის პლანეტებსა და კომეტებს, რომელთა მოძრაობაც ეწინააღმდეგება აჰურა მაზდას მიერ დაწესებულ კოსმიურ წესრიგს. აჰრიმანი აბინძურებს წყალს და სიკვდილს მოუვლენს გაიომარტას - პირველ ადამიანს. თუმცა, ადამიანთა მამამთავრისგან იშვა ქალი და კაცი, რომლებმაც დასაბამი მისცეს კაცთა მოდგმას. ორი ურთიერთდაპირისპირებული საწყისის დაჯახებით მთელი სამყარო ამოძრავდა: წყლებმა დაიწყეს მდინარება, აღმოცენდნენ მთები, ამოძრავდნენ ციური სხეულები. ქაოტურად მოძრავი, „მავნე“ პლანეტები რომ გაენეიტრალებინა, აჰურა მაზდამ თითოეულ მათგანს კეთილი სული მიუჩინა.

მესამე პერიოდი სამყაროს არსებობისა ზარატუშტრამდელი ეპოქიდან იწყება. ამ დროს ჩნდებიან ავესტას მითოლოგიური გმირები. ერთ-ერთი მათგანია - ოქროს ხანის მეფე იიმა ბრწყინვალე. მის სამეფოში არ არის „არც სიცხე და არც სიცივე, არც სიბერე და არც შური“. ეს მეფე აუშენებს ადამიანებს სპეციალურ ციხე-ქალაქს და ამით იხსნის მათაც და საქონელსაც წარღვნისგან. ამ ეპოქის წმინდანთა შორის მოიხსენიება ვიშტასპა, რომელიღაც ტერიტორიის მმართველი. სწორედ ის ხდება ზარატუშტრას მფარველი.

უკანასკნელი, მეოთხე პერიოდი (ზარატუშტრას შემდეგ) 4 ათასი წელი გაგრძელდება. ამ დროის განმავლობაში ხალხს უნდა გამოეცხადოს სამი მესია (თითოეული მათგანი ყოველი ათასწლეულის დასრულებისას). მათ შორის უკანასკნელი იქნება მხსნელი საოშიანტი, რომელიც, როგორც მისი ორი წინამორბედი, აჰურა მაზდას ძე იქნება. სწორედ ეს მესია გადაჭრის კოსმოსისა და კაცობრიობის ბედს. ის მკვდრეთით აღადგენს ყველას, დაამარცხებს აჰრიმანს, რის შემდეგაც დაიწყება სამყაროს განწმენდა „გამდნარი ლითონის ნაკადით“ და ყველაფერი, რაც ამის შემდეგ დარჩება, შეიძენს უკვდავებას.

ზოროასტრელები „აპოკალიფსის ხალხია“. ისინი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც უშიშრად ელიან სამყაროს დასასრულს.

ადამიანი და ზოროასტრიზმი

ზოროასტრიზმში დიდი როლი ენიჭება ადამიანის სულიერ სრულყოფილებას. ამ რელიგიის ეთიკური დოქტრინის მთავარ პოსტულატს წარმოადგენს პიროვნების ქმედებები, რომლებიც შემდეგ ტრიადას ემყარება: კეთილი აზრი, კეთილი სიტყვა, კეთილი ქმედება. ზოროასტრიზმი უნერგავდა ადამიანს სისუფთავისა და წესრიგის ჩვევას, ასწავლიდა მოყვასისადმი თანაგრძნობას და მადლიერებას მშობლებისა და ოჯახის მიმართ. რელიგია ითხოვდა მორწმუნეებისგან, რომ საკუთარი მოვალეობა მოეხადათ შვილების წინაშე, დახმარებოდნენ ერთმორწმუნეებს, მზრუნველობა არ მოეკლოთ მიწისა და საძოვრებისათვის. ამ მცნებების გადაცემამ თაობიდან თაობაში შეაძლებინა ზოროასტრელებს, გამოემუშავებინათ ცხოვრებისადმი სტოიკური დამოკიდებულება, რომელიც ეხმარებოდა მათ მრავალი განსაცდელის გადალახვაში.

ეს რელიგია არ ზღუდავდა ადამიანებს, გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მოუწოდებდა მათ, განრიდებოდნენ ბოროტებას. ამასთანავე, ზოროასტრიზმის მიხედვით, ადამიანის ცხოვრება ბედისწერითაა განსაზღვრული, თუმცა მხოლოდ პიროვნების საქციელით გადაწყდება - სიკვდილის შემდეგ სად მოხვდება მისი სული - სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში.

ზარატუშტრა გათებში წარმოდგენილია უფრო როგორც მოციქული, ვიდრე კანონმდებელი. მიუხედავად ამისა, მეფე ვიშტასპის კარზე გატარებული დროის განმავლობაში, მას უნდა შეექმნა საკუთარი რელიგიური თემი და დაეწესებინა ცერემონიები და რიტუალები. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძველ ინდო-არიულ წეს-ჩვეულებას წარმოადგენდა სრულწლოვანი მამაკაცისთვის დაწნული ზონრის შებმა, რაც რელიგიური თემის წევრად მიღების ნიშანი იყო. ეს ძველი ჩვეულება ზარატუშტრამ საკუთარი მიმდევრების საიდენტიფიკაციოდ გამოიყენა. ყველა ზოროასტრელი, ქალი თუ კაცი, წელზე შეკრულ ზონარს (სპარს. კუსტი) ატარებს. თემში ხელდასხმა 15 წლის ასაკიდან შეიძლება. ამის შემდეგ მორწმუნე ვალდებულია, ყოველდღე, ყოველი ლოცვის წინ შეიხსნას, ხოლო შემდეგ თავიდან შეიბას ეს ზონარი. მისი სიმბოლური დატვირთვა მდგომარეობს შემდეგში: ზონარი, რომელიც სამი ხვეულასგან შედგება, განასახიერებს ზემოთ ხსენებულ ზოროასტრელთა ეთიკურ ტრიადას: კეთილი აზრი, კეთილი სიტყვა, კეთილი ქმედება. კუსტის იკრავენ თეთრი ხალათის ზევიდან, რომელსაც სუდრა (შდრ. ქართული სუდარა) ეწოდება. სუდრაში მცირე ზომის ჯიბეა ჩაკერებული. ის უნდა ახსენებდეს მორწმუნეს, რომ ადამიანი ვალდებულია მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში აგროვებდეს ამ ჯიბეში კეთილ აზრებს, კეთილ სიტყვებს და კეთილ ქმედებებს, რომლებიც სამოთხისკენ გაუკვალავს გზას.

ლოცვები

ზარატუშტრამ თავისი მლოცველებისთვის დააწესა დღეში ხუთჯერადი ლოცვა. თითოეული ლოცვა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, დილის ლოცვის მფარველი ღვთაება მითრა იყო, შუადღის - აპამ ნაპატა, ხოლო ღამის ლოცვა გარდაცვლილებს ეძღვნებოდა. გარდა ასეთი გრადაციისა, ლოცვები სეზონების მიხედვითაც იყოფოდა. ზაფხულის ლოცვა, როდესაც ბრძანებლობდნენ კეთილი ძალები და მზე ზენიტში უძრავად იდგა, მლოცველს ეხმარებოდა ეფიქრა ჭეშმარიტებისა და სიკეთის საბოლოო ტრიუმფის შესახებ, ხოლო ზამთრის ლოცვას, როდესაც ბატონობენ ბოროტი ძალები, უნდა შეეხსენებინა ადამიანებისთვის, რომ აუცილებელი იყო მათ წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლა. ასე, რომ ზარატუშტრამ გამოიყენა დღის პერიოდები და წელიწადის დროების ცვლილება, რათა კარგად შთაებეჭდა მისი მიმდევრებისთვის ზოროასტრიზმის ძირითადი პოსტულატები.

თუ ჩვენ მიერ ნახსენები დღის ხუთი ლოცვა სავალდებულო იყო მორწმუნეთათვის, ზარატუშტრამ დააწესა არასავალდებულო ღამის ლოცვებიც და რიტუალი. ზოროასტრიზმის მიხედვით, ღამე განსაკუთრებით აქტიურდებიან ბნელი ძალები, ამიტომ ეს რიტუალი მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. მორწმუნეს უნდა აეგიზგიზებინა ცეცხლი, მასში კეთილსურნელოვანი მცენარეები დაეწვა და ელოცა მშვიდობისა და სიკეთისთვის.

დღევანდელი ზოროასტრელებისთვის ლოცვის რიტუალი შემდეგნაირად სრულდება: პირველ ეტაპზე მლოცველი ემზადება ლოცვისთვის - განიბანს სახეს, ხელებსა და ფეხებს. შემდეგ, შეიხსნის რა წმინდა ზონარს (კუსტის), წარმოიდგენს, რომ რიტუალს აჰურა მაზდა ესწრება. მისი ყურადღება მიმართულია ცეცხლისკენ - სიმართლის სიმბოლოსკენ. მლოცველი ლოცულობს აჰურა მაზდასთვის და წყევლის აჰრიმანს. ლოცვა რამდენიმე წუთს გრძელდება, თუმცა, რაც უფრო მეტჯერ გაიმეორებს მორწმუნე ამ რიტუალს, მით უკეთესია მისთვის.

შვიდი დღესასწაული

პირდაპირი ვალდებულება, რომელიც ზარატუშტრამ დააკისრა მორწმუნეებს არის შვიდი ყოველწლიური დღესასწაულის აღნიშვნა, რომლებიც აჰურა მაზდას და მის მიერ შექმნილ ექვს „უკვდავ წმინდანს“ (ღვთაებას) ეძღვნება. როგორც ჩანს, ეს დღესასწაულები ინდოარიელ მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა უძველესი წეს-ჩვეულებებისგან უნდა მომდინარეობდეს, რაზეც მათი სახელწოდებები მიუთითებს.

ესენია:

1. „შუა გაზაფხულის დღესასწაული“

2. „შუა ზაფხულის დღესასწაული“

3. „მოსავლის აღების დღესასწაული“

4. „საზაფხულო საძოვრებიდან საქონლის დაბრუნების დღესასწაული“

5. „შუა ზამთრის დღესასწაული“

6. მეცნიერებისთვის ნაკლებად ახსნადი წეს-ჩვეულება, რომელიც ფრავაშისადმი (სული, რომელიც ადამიანის დაბადებამდე და მისი სიკვდილის შემდეგაც არსებობს) მიძღვნილ გამასპინძლებას ასახავდა.

ამ დღესასწაულებს ყველა რელიგიური თემი ზეიმობდა. დილით მლოცველები ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ, რომელიც ყოველთვის აჰურა მაზდას სადიდებლად იმართებოდა, ხოლო საღამოს ყველა ერთად იკრიბებოდა და ქურუმების მიერ ნაკურთხი საკვებით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება <u>მე-7</u> დღესასწაულს, ის განსაკუთრებული იყო და სხვებისგან გამოირჩეოდა. ეს დღესასწაული ცეცხლს ეძღვნებოდა, როგორც სიცოცხლის ძალას, რომლითაც განმსჭვალულია აჰურა მაზდას ყველა ქმნილება. სპარსულად მას ნოურუზ - ახალი წელი ეწოდება. სამწუხაროდ, ამ დღესასწაულის ავესტური სახელი ჩვენთვის არ არის ცნობილი. ზარატუშტრამ ეს ზეიმი გაზაფხულის ბუნიობას დაამთხვია. სიმბოლურად, დღესასწაული ახსენებს მორწმუნეებს განკითხვის დღეს, როდესაც საბოლოოდ გაიმარჯვებს აშა (ავესტ. წესრიგი, ჭეშმარიტება, სამართლიანობა; პრინციპი, რომელიც მართავს მთელ სამყაროს). ეს უკანასკნელი დღე, ამასთანავე, მარადიული ცხოვრების პირველი დღე გახდება.

ზარატუშტრას მიერ მორწმუნეებისთვის შემოღებულმა ორმა აუცილებელმა მოვალეობამ - ყოველდღიურმა ხუთჯერადმა ლოცვამ და შვიდი ყოველწლიური დღესასწაულის აღნიშვნამ - ზოროასტრიზმს უზარმაზარი ძალა შესძინა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ასულდგმულებდა ამ რელიგიას. ეს რელიგიური წეს-ჩვეულებები მუდამ ახსენებდნენ ზოროასტრელებს რწმენის ძირითად პოსტულატებს. რელიგიური რიტუალები კიდევ უფრო აძლიერებდა მორწმუნეთა თემის ერთიანობას.

კულტმსახურება და ტაძრები

განსაკუთრებული აღზევება ზოროასტრიზმმა სასანელთა ბატონობის ხანაში განიცადა. მთელს იმპერიაში ათეშგა - „ცეცხლის ტაძრები“ აიგო. ისინი ერთიანი გეგმით შენდებოდა. საშენ მასალად გამოყენებული იყო ქვა ან გამოუმწვარი აგური. ტაძარი გუმბათოვანი გადახურვით ხასიათდებოდა, რომელშიც დიდი სამლოცველო დარბაზი იყო. ამ დარბაზში, უზარმაზარ თასში, რომელიც ქვის პოსტამენტზე იდგა, წმინდა ცეცხლი ენთო. დარბაზი ისე იყო გამოყოფილი შენობის სხვა ოთახებისგან, რომ ცეცხლის დანახვა შეუძლებელი იყო.

ზოროასტრულ ტაძრებს თავისი იერარქია გააჩნდათ. ყველაზე გამორჩეული მათ შორის ცეცხლი - ვარაჰრამა (უბიწობის სიმბოლო) იყო. ამ ტაძრის ცეცხლი ირანის ყველა ტაძარში დანთებული ცეცხლის პირველწყაროს წარმოადგენდა. ტრადიციის მიხედვით, ვარაჰრამას ცეცხლი 16 სახის ცეცხლისგან შედგებოდა, რომლებიც მორწმუნეთა სხვადასხვა ფენის (მაგების, მეომრების, მწერლების, ვაჭრების, ხელოსნების, გლეხების და სხვა) წარმომადგენლების კერიიდან იყო წამოღებული. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვნად მეთექსვმეტე ცეცხლი ითვლებოდა, რომელიც მეხის დაცემისგან წარმოიშობოდა. დროთა განმავლობაში წმინდა ცეცხლი ტაძრებში უნდა განახლებულიყო. ამისთვის არსებობდა განწმენდის განსაკუთრებული წესი და საკურთხეველზე ახალი ცეცხლის დანთების რიტუალი.

ცეცხლთან მიკარება მხოლოდ მღვდელმსახურს შეეძლო, რომელსაც თავზე თეთრი ქუდი ეხურა, ეცვა თეთრი ხალათი, ხელები თეთრი ხელთათმანებით ჰქონდა შემოსილი და სახეზე ნიღაბი ეკეთა, რათა მის სუნთქვას არ წაებილწა წმინდა ცეცხლი. დიდ ტაძრებში წვავდნენ ხის მაგარ და ძვირფასს ჯიშებს, ხოლო დაგროვილ ნაცარს მიწაში მარხავდნენ.

ათეშგა – ზოროასტრული ტაძარი

თანამედროვე ზოროასტრული ტაძარი

ეპილოგი

ზოროასტრელთა რელიგიას განსაკურებით მძიმე დღეები არაბების მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ დაუდგა. თუ დასაწყისში მათ არავინ ავიწროებდა, დაახლოებით IX საუკუნიდან სიტუაცია შეიცვალა. აბასელთა ხალიფებმა ზოროასტრელებს დევნა დაუწყეს და ისლამზე გადასვლას აიძულებდნენ. ტერორიზებულ მაზდეანთა ნაწილი ინდოეთში გაიქცა, სადაც მათი შედარებით მცირერიცხოვანი თემი დღემდე ცხოვრობს.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ამ რელიგიის გაცნობა, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში ზოროასტრიზმი დიდ გავლებას ახდენდა ჩვენს პოლიტიკასა თუ კულტურაზე. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ძველ თბილისში შემონახული მაზდეანთა ტაძრის ნანგრევი.

თბილისის ათეშგა

შეკითხვები:

1. *რას ნიშნავს გამოცხადების რელიგიები?*
2. *რომელი ხალხის რელიგია იყო ზოროასტრიზმი?*
3. *თქვენი აზრით, რატომ იქონია ზოროასტრიზმმა გავლენა სხვა რელიგიებზე?*
4. *მეცნიერთა აზრით, სად წარმოიშვა ზოროასტრიზმი?*
5. *მოიძიეთ ინფორმაცია და ახსენით, ვინ იყვნენ ინდოევროპელები?*
6. *ვინ იქადაგა ზოროასტრიზმი?*
7. *რატომ ეწოდა რელიგიას ზოროასტრიზმი?*
8. *რა არის ავესტა?*
9. *რა არის ვიზარიშნი?*
10. *რა არის იასნა?*
11. *რა არის ვიდევდატი?*
12. *რატომ იყო რთული ავესტას გაგება?*
13. *როგორ გამოეცხადა ზარატუშტრას „ჭეშმარიტი რწმენა“?*
14. *რატომ არ იყო გამოცხადება უცხო ირანელებისთვის?*
15. *ვინ იყო ზოროასტრულ რელიგიაში უზენაესი ღვთაება?*
16. *ვინ იყვნენ დევები? გაავლეთ პარალელი ქართულ ფოლკლორთან.*
17. *ჩამოთვალეთ აჰურა მაზდას თვისებები.*
18. *რომელი ოთხი სტიქიაა ზოროასტრელებისთვის წმინდა?*
19. *რა ურთიერთობაა აჰურა მაზდასა და აჰრიმანს შორის?*
20. *ვინ არიან აჰურა მაზდას თანამგზავრები, რომლებიც მისი შექმნილნი არიან?*
21. *იმსჯელეთ ზოროასტრული კონცეფციის შესახებ, რომელიც ოთხ პერიოდს მოიცავს.*
22. *რატომ არის ზოროასტრიზმი აპოკალიფსის რელიგია?*
23. *იმსჯელეთ ზოროასტრიზმის ეთიკის შესახებ.*
24. *რა არის კუსტი?*
25. *იმსჯელეთ ზოროასტრელთა ლოცვების შესახებ?*
26. *იმსჯელეთ ზოროასტრელთა დღესასწაულების შესახებ?*
27. *თქვენი აზრით, რით იყო გამოწვეული ზოროასტრელთა მიერ ცეცხლის თაყვანისცემა?*
28. *რამ გამოიწვია ზოროასტრიზმის დაცემა?*
29. *თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული თბილისში ზოროასტრელთა ტაძრის არსებობა?*